სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორის ბრძანება #1

4 მარტი, 2021 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში -
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში
სამუშაო დროის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2021 წლის 12 თებერვლის N 01-15/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის“ დანართი # 1-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 2 მარტის N 3380/10 წერილის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება/შევსებაზე, შენახვაზე და თანამშრომლებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი მაია ჯაფოშვილი.

2. დაევალოს მაია ჯაფოშვილს:

ა) შეავსოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა ყოველთვიურად და წარუდგინოს ინსტიტუტის დირექტორს მომდევნო კალენდარული თვის არაუგვიანეს 3 რიცხვისა;

ბ) სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს ინსტიტუტის თანამშრომლებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

გ) სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, როგორც ყოველთვიური დოკუმენტი, საბოლოო ელექტრონული დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი შეინახოს 1 წლის განმავლობაში.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნინო ფარცვანია

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY